

საქართველოს  
საბჭოთაო  
ბიბლიოთეკა  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# საქართველო

კვირა, 31 მარტი, 1916 წ.



(ოჯახში)



(ჩაფხუტით)

ვაჟა-ფშაველა.

## ია.

გაზაფხულს ია თან მოჰყვა  
თავის კოპწია კაბითა,  
გაიხედ-გამოიხედა  
ლამაზ თვალების ნაბვითა.  
ჯერ არაფერი იცოდა  
ქვეყნიურ მწუხარებისა,  
გულს უხარებდა სილაღე  
შემწვანებულის მთებისა.  
უცბად გამოჩნდნენ მინდვრებზე  
თალხ კაბიანი ქალები,  
ხელში თოხ-ბარიანებმა  
იას მიაპყრეს თვალები.  
უი თქვენს დედას შვილებო  
ვაი თქვენს დამკარგველებსო,  
რომ ველარ ჰხედავთ თქვენს მინდვრებს  
და იით მორთულ ველებსო.  
ეს სთქვეს და გულის სიღრმიდან  
ამოიკენეს ყველაზე  
და სამუშაოს მიმართა  
სუყველა ფეხშიშველმა.  
ია გაოცდა, გაკვირდა,  
დალონდა, დადარდიანდა,  
იფიქრა ვაჟკაცს გამოსვლა  
მინდვრად რად დაუგვიანდა?

მიწას ჩვენ უნდა მივხედოთ  
ცრემლებით მოვაფრქვიოთ

და მწარე ბედის უღელი  
ქალებმა უნდა ვწიოთო.  
გული მოუკვდა იასა  
ყველა რომ ნახა ქალარა,  
ჩუმად დაიწყო ქვითანი  
და ცხარე ცრემლი დაღვარა.  
შიო მღვიმელი.


## ო, როგორ მსურდა...

ო, როგორ მსურდა დამეტკბარიყავ ერთხელ სიამით  
მინდოდა ლექსიც დამეწერა საგაზაფხულო  
მაგრამ აივსო კვლავ ფიალა შხამით, ბალდამით  
და რაღა ვწერო ჩემს რვეულში სასიხარულო?...  
ჩემთვის დღეს ისევ მოსაწყენი შემოდგომაა  
და რომ ვიგლოვო, ვივალალო მუდამ ვარ მზადა  
ეჰ, სატრფოს ხელით მოწყვეტილო ვარდ ყვავილებო  
ჩემო სიცოცხლის იმედებო სადა ხართ, სადა!?!..

ქნარი.



პოლდორ ბიძინა დავითის ძე ოქროპირიძე.  
(მოკლული)



კიკნა-ვაშვილი და ხერხეულიძე.



დავით ივანეს ძე შანშიაშვილი  
ორჯულ დაიჭრა, კანტუზია მიიღო გერ. ფრონტზე

### ტრადედია ეჭილენია

მათის მეფობის დიდებულების, სრულად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის შესაქცევად; ებოხა მეთობისა მისისასა ნბ, (52)წელსა შ-დ მაცხოვრისა ჩინისა—ჩღუე (1795), თთვესა მარტსა--გ.

თქმული მდივანბევის თავადის დავით ჩოლოყაშვილის აგან. ქალაქსა ტფილისს.

მომკმედნი პირნი  
ალამემონ, მეფე ბერძენთა და წინამძღუარი ოცის მეფისა, მიმავალი ტროადის ქალაქის საბრძოლველად, ექუს თთუე, უქარობით, ზღვის პირზედ დგას.

ულისე, მეფე ბერძენთა, მამა თეღმეაკისა.

ახილეს, მეფე და გმირი.  
არკაზ, მახლობელი ალამემონისა.  
კალხას, ქურუმი (გინა მლუდელთ-მთაუარი კერპთა).

დედოფალი კლიტენ-მესტრა, ანუ კლიტენ-მესტრა.

ეჭილენია, ასული ალამემონისა და დედოფლისა.

არო, უვიცი პრინცესა, ტყუი ახილესისა.

- მუახლენი.
- კარის-კაცნი.
- პაჟნი.
- მხედარნი.
- მგალობელნი.
- საზანდრები.

წარმოდგინება.  
გამოცხადება.  
მოკმედება.

თეატრი წარმოადგენს მინდორზედ სამსხუტროლოსა; კალხაზ ღუმლით ილოცამს და აკმევს. იუპიტერი ელვითა და ქუხილითა, კაცის სახით, ღრუბლით მოვა და გულშემოყრის კალხაზს ეჩუტნება, და ისევ ელვით და ქუხილით ამალდდება;—და ფარდა დაიფარება. საფარავი—სევა მუხალიფი.

თეატრი წარმოადგენს ზღვის კიდეზედ დაბმულს ხუამალდს, ატლანტის (?) ზღვასა შ-ა მყოფს, ხუამალდზედ კა-

რავს. კარავში ალამემონ წიგნსა ჰბეჭდავს. არკაზს პირდაპირ სკამზედ ჰბიძნავს. აქა-იქ სალდათები ჰყრიან. ალამემონ აღვიძებს არკაზს.

#### გამოცხადება ა.

მოკმედება ა. (ლამით).

ალამემონ. დიად, მე—დიად, მე—ალამემონ, მე—ხელმწიფე შენი, მე—დამკირნე შენისა ღვიძლისა და მეგობრობისა.

არკაზ. ხელმწიფე! რა მიზეზმა აგასწრობინათ მთიებისათჳს: ეგებ სანატრელი მოგესმათ რა მხმა, ან სასურველის ნიავის სულმა მოგებრა და მისმა გაღვიძებამ გაგაღვიძათ? მაგრამ რა,—კაცთა, ქართა და ნებტუნს\*) სძი-

ალამემონ. არკაზ, შენ უნდა გახსოვდეს დადოფლისაგან შენი გაზრდა და დედობრივი სიყუარული, რომლისაც მოწყალებამ ჩუენი დაგაახლოვა, და ყუალაზედ მისანდოდ მიმანიხარ.—ბუნებითად ვასხებული მოწყალება ერთგულებით გარდაიხდება, შენ უფრო მოვალე ხარ დედოფლის ერთგულებისა, ვინემ მრთელი საბერძენითი. შენ განდობ ამ საიდუმლოსა, რომელშიგაც ბედნიერება და სიცოცხლე ეჭილენიასი გერწმუნება.

არკაზ. ხელმწიფე! რა საიდუმლო? რა სიცოცხლე? რა რწმუნება? მე ვხედავ მარადის თქუენსა განათლებულსა პირსა შეწუხებულად, ხმასა მწყუტტელად და თუალსა ცრემლიანად; თქუენ იცნობთ ჩემს გულს, ასე როგორც სული ჩემ შორის; ჩემი თავი, სიცოცხლე,—მოკლედ ვსთქუა, სულიცა თქუენთს დამიმონებია, იყავნ ნება თქუენი მონასა თქუენსა ზედა, უბრძანე აღსრულებად,—მზა ვარ.

ალამემონ. არკაზ, შენც იცი საიდუმლო, რომ ეჭილენია ახილესისათჳს შესართავად დავიბარე: ღ-თთ ჩემი ლოცუა ესმოდათ, კალხაზ მერჩიდა და ბედი მმსახურებდა; მაგრამ შენ იცი, ყ-თჳს მრავლობა მრავალ-მნებებელობასა ჰშობს,—ღმერთთ უგულუბელს მყუეს, კალხაზ მიმუხთლა და ულისე ჩემს დამამხობელს რჩევაებს მაძღვეს;

\*) შენიშვნები დ. ჩოლოყაშვილის ეკუთვნის) ნებტუნი—ქარის ღმერთია. ნამს!

ულისე—შვილის მოყუარე მამა, მამას, მოხუცებულობაში, ცოცხალს, მწყუხარების ჯოჯოხეთად მაწევს! კმარა, დრო აღარ არის ლაპარაკისა, წადი, ისწრაფე! ეს წიგნი შენს მოწყალეს დედოფალს მიართვი. თუნდა ვლაგირს ახლო ჰნახო—დააბრუნე! აფიცე, რომ შემობრალოს, ნუ მოვლენ, მაგრამ გაფთხილდი, რომ ღამის სიბნელემ გზაზედ არ აგაცდინოს.—(არკაზ წავიდა).

ალამემონ (მარტო). არკაზ წავიდა, ღამე ბნელია, მეშინიან გზაზედ არ ასცდნენ; მაგრამ უფრო მეშინიან: არამც დედოფალმა არ დამიჯეროს და აქ უეცრად შემოვიდნენ! უ-კუდაო ღმერთო, შენ მიუვლინე შენი პალოდა და დააჯერებინე არკაზის რჩევა, თუ შენს ძლიერებას მოწყალება თანაჰსწორად აქვს, შეობრალე ჩ-ი მოხუცებულება,—ეჭილენიას აქ ნუ მოიყვან,—ორმოციათას ცხუარსა და ზროხას შემოგწირავ, ათას ფუთს ფიმიამს შენს საკურთხეველზედ დავსწვავ.

პაჟი. დედოფალი და პრინცესები მოვიდნენ.

ალამემონ (განცვიფრებული). რაო? პაჟი (შეორედ). დედოფალი და პრინცესები მოვიდნენ (გავიდა).

ალამემონ. ახლა აღვისო ჩემის უბედურების საწყაული...

#### გამოცხადება ბ.

მოკმედება ბ.

(ალამემონ, დედოფალი, ეჭილენია, არო და მუახლენი).

დედოფალი. ძალიან გაჭირებაში ყოფილხარ, ატრიდეს! დიდი ხელმწიფე ხარ, მაგრამ ქარნი შენს ბრძანებას არ ერჩიან.

(ეჭილენია მამას ხელზედ ეხვევა).

ეჭილენია. ყ-დ მოწყალებ ხელმწიფე! მესმოდა თქუენი მძღველობა, და განუტუნება კარისა მიხაროდა; მსუროდა და მეღირსა ნახუა, მაგრამ გაგონებულს ნახული ერთი ათად სჯობს,—ამ ბედნიერებას მარტო თქუენი ქალი ღირსა?—ოცის მეფის ხელმწიფე მამად ჰყვანდეს, ძლიერად და ასე დიდებულად განთქმული, ვლაგირი მომზადებული, განუტუნებული და

1) ატრიდეს, გინა ალამემონ.

მას შინა დღესასწაული... იქმნება, რომ თქუენი სახლელუნი ყველანი დაესწრან და მეც ასე ვიყო ბედნიერი, რომ თქუენი დიდებულება დღესასწაულში ვნახო და იქ დავესწრა?

ალამემონ (შეწუხებული) იქ-ნე-ბა.

ეჭილენია. როგორ ჩქარა იქნება ის დღესასწაული?

ილამემონ. უფრო ჩქარა, ვინემ მე მინდა (გავა).

დედოფალი. (ეჭილენიას). რა არის ალამემონისა ერთი მწყუხარება? ეგებ ჩუენი მოსვლა ეწყინა; მაგრამ ხომ მაგის ბრძანებით მოვედით, მე კულავ ასთე შეწუხებული არ მინახამს!..

ეჭილენია. ხელმწიფე! თქუენის მოსვლის სიხარული ჩემის მოწყალე მამის ძლიერს სულში მოკმედებს, და ამ მოკმედებას ცრემლი მოაქვს. ბუნების-მეტყულებად სწკრია: „ძლიერის სიხარულის მოკმედება, ძლიერს მწყუხარებასა ჰკავს და ცრემლს ადენს, მაგრამ ეს ცრემლი ხომ მწარე არ არის“.

#### გამოცხადება გ.


მოკმედება გ.

(ალამემონ და ულისე).

ალამემონ. ულისე, შენს სიბრძნეს განუგია, როგორც მე ვხედავ, თავისათჳს შენისა სახელოვანება, სახლელუთათჳს მშვიდობა, და ბედნიერება მათთჳს, რ-ლნიცა გამსახურებენ შენს; მაგრამ ესე ყოველნი გიღირან შენთჳს. ამათი აღმატებულს ხარისხზე აღყუანა წარმოგიდგენია შენის მყოობად უადმატებულესობისათჳს.—განა ულისე?

ულისე. დიად, კელმწიფე.

ალამემონ. მე ვიცი, რომ ყოველნი ღ-ნნი, ჩუენის შეჯარვის მფარველნი, განრისხებულან ჩემ ზ-ა, და ჩემის ამოდ მსახურებისათჳს მომაგებენ... თუ ჩემს გვამს შეემთხვას მტრის ხელით სიკუდილი,—მე მოხარული სასიკუდილოდ მზა ვარ, ამიტომ რომ არ იქმნება უკადრისი გულოვანისათჳს შემთხუცვა, მე კაცთ-საზღვარს ვერ წაუვალ, აგრე ვერ გავგულქვავდები, რომ არ შემობრალდეს ჩ-ის მხოლოდშობილის ქალის ბერძენთ ბედნიერებისათჳს შეწირვა. ულისე, მე შენი რჩევა მრავალჯერ დამიჯერებია და დამ-



ასტრახანის კათედრალური სობორო, სადაც მარხიან მეფე  
ვახტანგი და თეიმურაზი



გერმანელი ოფიცრები.

ჯდომია, — ვერ დაგიმაღავ ჩემს განზრახვას: როდესაც ჩი სისხლი ავლუთქვი მამულსა და სახელის წარმართებასა, არ დავიგდევ თავისუფლად არც მოსვენება, არც სიმდიდრე, მაგრამ ეჭიღენია არას დროს ბერძენო ბედნიერებისათვის მსხუერპლად არ გადამიღვია... მე ვარ თქუენს ხელში შემოვრდომილი, თქუენი წინამღუარი და მსხუერპლი — ეჭიღენია ახილესისათვის დავიბარე, ეჭიღენია უნდა სიმამრმა ახილესს წავართვა?... მამან?... ახ, უკვდაო ლ-თო, — არისლა კაცი ქუეყანაზედ ჩემსავით უბედური?!

**ულისე.** ალამემონ! შენ რჩევა არვისგან გეჭირვება, მარტო გულ-კეთილობით მშუენიერს სიტყვას პირიღამ აღენ; მაგრამ, შემწირულა თავისის თავისას მამულის სახელისათვის, არა დაგინარჩუნებია (რა): შენ იცი — ოცის შეფისა და ამთონის ჯარის ბედნიერება, თუ წარწყმენდა — შენს ნებაზედ არის დამოკიდებული; კაცი, რომელიც თავისთანას კაცს რასმე აღუთქვამს, თუ არ აღუსრულებს, მოიმღურვებს და სინიდისიც გვემას და ყუტდრებას დაუწყებს, და ჰკითხავს: რათა ჰქენიო? შენ ღმერთათ, წინამძღურად და ხელმწიფედ გამოგაჩინეს, თუცა შენ არ გინახამს გამომრჩეველი, მაგრამ სინიდისი დაჰპირებია: „აღვსთქვამო შეწირვასა ჩემისა სიცოცხლისას ერისათვის ჩემისა, მსხუერპლად მივსცემ განსვენებასა ჩემსა და დაწყნარებასა მათსა; ვფიცავ, რომ არა დაუდვა ჰსჯული, გარდა სასარგებლო და მართალი, და არა მქონდეს ნება წინამძღედად მიცემულისა ჩემგან ჰსჯულისა; რაოდენ უფრო თავსა თვისსა დამამონებენ, ეგოდენ უფრო შემკვრენ სიყუარულითა თვისითა, რაოდენ მეტყვიან — იყვენ ნება შენი, ეგოდენ ნებასა ჩ-სა განმზარებენ. როგორც უბრალო კაცი დაამონებს მამულისმოყუარებასა თავსა თვისსა, ეგრეთ მე დავამონო და

ჩემი ყ-ი ვანაცვალო“ — არისლა ამისთანა სხვა სიუხვე და გასაცემელი? არილსა ამისთანა აღთქმა, როგორსაც მეფენი აღსთქმენ ჟამსა ტახტზედ აღსვლისასა? შენ გინდა შენი ნება არჩიო და ერთის წუთის მწუხარებასა საუკუნო ტანჯვა შეაფერდო! მართლმსაჯულნი ღმერთნი, არა თუ მოობადსა მარტო ჟამსა საქმეთა მათთაებრ მიავებენ, — აწმყოსაცა; არიან მართალნი და ბრძენნი სოფლის მსაჯულნი — აღთქმასა მეფისასა უძლიერესად მოიკითხუნ, ვინემ კაცისა უბრალოსასა დასჯიან მათ იმიტომ, რომ არიან ესენი ხილულნი ხატნი მისისა ხელმწიფებისანი და არ იქმნებიანო მბაძველნი მისისა ჰუმბარტებისანი.

**ალამემონ** (ფიქრში). ეს ხომ აღარ გაათავებს რიტორებასა...

**ულისე.** შემდგომი და დასასრული კეთილის საქმისა არის მოსუნება სინიდისისა: ვისაც თავი წესიერად და კანონიერად შეუნახავს, ან ვისაც ეშინიან ასეთის საქმის დაწყობისა, რომელიც წინამძღედვია სვნიდისისა და კანონისა, რ-ლიც ლ-თთ აუწერეს, — ამას არა აქუეს საწუხარი და არცა აქუს თავისის თავის წარსაყუტდრებელი, ის, ყოველთვის მოსვენებული და განხარებული, ყ-ლას მიიღებს სუგრძელებით და განზრახვასა ღუთისასა დემორჩილება უწუხარად და ურუღუნოდ. ამისთანა რჩევა თქუენ ეგების უცხოდა და მოუთმენლად დაინახოთ; მაგრამ არ გინახავსთ თქუენ თვითონ, რომ ერთს შემთხუცავში, ერთს ვითარებაში, ერთი სწუხს და მეორე სწორედ იმასვე სულგრძელობით მოითმენს? რისგან არის ესე? იმისგან, რომ ერთი უფრო განამტკიცა თავის თავი ცნობასა და დაცუასა შინა კეთილმოქმედებისასა, მეორემ უმცირესად მიიზიდა მეცნიერება და უფრო ნება მისცა ვნებათა თვისთა. ძველი ისტორია გახსოვს, ხელმწიფევე, — რომ ერთს მოხუცებულს ლ-თმა სთხოვა შვილი

შესაწირავად, და (იმან) არ დაზოგავ: ჟამიერად აჰკიდა შეშა და მთაზედ აღიყვანა, არც სწუხდა და არც დრტვინვიდა, და არც შფოთევდა; მოხარულის ხელით ამოიღო დანა და დააბჯინა ყელში. ლ-თმა, დამნახველმა იმისი გულისამ, გრაცია მოუვლინა, შვილი აპატია და ცხუარი მისცა დასაკლულად.

**ალამემონ.** ულისე, რომელი ღმერთი იყო? ეგებ იმასაც შვილი ჰყუნდა და იცოდა მამის მოწყალება? აა ჩუენი ღმერთები... აა კალხაზ... მაგათ სისხლით რა გააძღვებს?

**ულისე.** იმას — მცნობელნი უხილავს ეძახიან, არავისგან არის გაკეთებული, არცა ვის უნახავს, მაგრამ ის კაცის სინიდისს ჰხედავს, სინიდისმა იმის არსება იცის და იმისი ხმა ესმის, — აღარ გავგარძელებ, ჟამი მოკლეა: შენ ეჭიღენიას ღმერთთ ნუ დაუქერ, საბერძნეთს, საბერძნეთს ნუ აიჯანყებ, შენი სისხლი რომ არა გშურს მამულის დიდებისათვის, მაშა რაღად უნდა გშურდეს ისი, რომელმაც შენგან მიიღო (სისხლი).

**ალამემონ** ულისე, შენ მამა ხარ და შვილი გყავს, იფიქრე, თელემაკს... შენს საყუარელს თელემაკს, რომ დასაკლავად გთხოვდენ!

**ულისე.** მივსცემდი, თვინიერ ყ-ლისა რუღუნებისა და იკვისა.

**ალამემონ** (აღგებთან). წადი, საღვთისწაულოდ ჯარი დააწყვე, ტაძრის განშუენება უბრძანე, მე გამოვალ და ვნახავ. (ულისე მიდის).

**ალამემონ.** მოიცადე, ულისე! იქმნება, რომ... მრავალი პირუტყვი და... საქონელი კალხაზს მივსკეთ...

**ულისე.** თუ იქნებოდეს, უწინვე გეტყოდი (მიდის).

**ალამემონ.** აცა! ახილესს რა ვუყოთ, რომ ამ ჟამში მოვიდეს?

**ულისე.** უნდა დაუმაღლოთ, სანამ შეიწირვოდეს (წავადა).

**ალამემონ** (მარტო). აახ! როგორ

იზოვენ მწუხარებავ ჩ-ის სადგომის გზა? და მიწლი ძვირ-ფასის მოსუნების გემოვნებასა! რამდენი ცრემლი და სისხლი დაღვრილა ბერძენთაგან, რომ ჩემი ღლე დაამსგავსონ ზეციერთ ღლეს და ჩემი ბედი ლ-თთ ბედნიერებას... შენ, რომელიც უნდა ეგდო გლახების ჩაღურში და ჩალაზედ გდების მოსურნეს იმ საწყლის კუთხე სადგომად გენატრებოდეს, — შენ როგორ გაჰბედე სახელმწიფო პალატაში შემოსვლა? შენ ვინა და მოოქროვილი სახლი! შენ ვინა და ზესთა აღმატებული ხარისხი! შენ ვინა და ოქსინო-გარდაფარებულის ტახტის ქელვა! არ გეყოფოდა მეცხუარეთ ფარეზში მყარლს დერმაზედ გდება და პირუტყვთ ბავაში მოგანგლა? მე, სამოთხის მზგავსს სახლებში მდგომი, ნებიერობის სიღრმეში მოთავსებული, ფებს თითქმის, თუ არ ძვირ-ფასზედ, არაზედ ვაღვამ ხელმწიფე, ოცის მეფის მზრძანებელი; მრავალი ჯარის წინამძღუარი, მრავალი, არა თუ უნჯისა, საუნჯის მქონებელი, — ატრიდ! მოკლედ ვსთქვა, ალამემონს რაღა მაქუს ქუეყანაზედ სანატრელი, რომელიც ჩემს ნებას არ აამბებდეს და ჩემს ნებიერობას არ დაატკობდეს... რის დამჭირე ვარ? რა მაკლია? რის უპოვარი ვარ?... აახ, მოსვენებისა... ეს ჩემს დიდებულებას ასე აკლია, როგორც გლახაკთ საზრდელი... რა ბევრით სჯობს მეცხუარეთ მწყემსობა ხელმწიფობასა და მეთევზეთ ცხოვრება ჩ-ს ნებიერობასა, — ეს თევზს დაიჭერს და ის<sup>1)</sup> მოხარშავს, და ეს-ორივე, სჯულის ჯაჰვით შეკრული გულები, ეგებ უმარილოსა და ფიცარზედ დასხმულს საქმელს ასე გემრიელად და წადილით სჭამენ, რომ ჩუქენ, მდიდარნი, უცხოხოს ჩინურსა და ძვირფასს იარაღზედ მორთმეულს, ყუავილებისა და ხილების მაჯუნების სიტკბოში იმ გემოს

<sup>1)</sup> ის — არს მეუღლე.


ვეძებთ და ვერ გვიპოვია... დილა მსახურის მათ საზრდოს მოსაღვაწე- ლად და საღამო განსასვენებლად, თუმცა ხმელი ფიცარი, და ისიც იწრო აქუსთ ლოგინად, მაგრამ ეს შეყურე- ბულნი გვამნი ერთი მეორეს ასე შეი- ტკობენ და ასე გათენებამდინ ტკი- ლად დაიძინებენ, რომ ვერც ორგულთ ზედდასხმა, ვერც სხვათათვის ზრუ- ნულობა, ვერც სახელის მოყურე- ბა, ვერც შური ამათი ძილის გაკართო- შას ვერ შეიძლებენ. ჩუპნ—გავითარე- ბულთ ცხოვრება, ჩუპნ პორფირო- სანთ სიკოცხლე, თუ კა ითქმის სი- ცოცხლედ,—რამდონ გზის დაბალია და საწყალი მიწის მუშაკთაგან? ჩუპნ დაგვრჩომია სანუგეშოდ მარტო სახე- ლი, როლისათვისცა ამბობენ: „რათა ღირს ესე, რომ რასაც მოინდომებს, იმას გამოიჩვენებს!“—მე არას ვიტყვი მონდომებულის გამოჩვენისათვის, რად- გან ყოველმა კაცმა იცის სენი გული- სა, რომ ყოველის სოფლის მპყრობელი გაუმადარი გავა ამ სოფლის მეჯლი- შიდა, და სახელისათვის ამობენ: „არ მოსწყინდებო, რადგან ბრძოლისაგან არის განდიდებული“. ახ, დარჩეს მი- წაზედ რამდენიმე ათასი კაცი დაჭრი- ლი და დაზარალებული, იქნება რომ ამანუდ ტკიბილად შეექცეს? შეუნ- დობ—სიკუდილის შიშის ქუცუ მყოფს მხედარს უხაროდეს მორჩენა თავისა, და ხელმწიფეს ანაგობით მოწყალის გრძობის მქონებელს, ის დღე, რო- მელსაც დაიქცა სისხლის ღუარი და ამანუდ ადინა ცრემლის წყაროები, იქნება რომ კარგს დღეთ მიიჩნდეს, ესთქუათ, რომ ყოველთს განგვემარ- ჯოს და მსგავსად სხუათა მეფეთა მიგწვდეთ ვინადგან კიდემდე, და როგორც ისინი მობრუნდნენ შემაწუ- ხებელი ყოველთა და თავისა თვისისა, მოგბრუნდეთ ჩუპნცა, და არ ვიცო- დეთ რა ვპყოთ ესეოდენ დიდსა და ვრცელსა ქუცუყანასა, რ-მლისა რამ- დენიმე დღითი მიწა დამპყრობელს საზრდოდ და ერთი მხარი დასამარ- ხავად ეყოფოდა... ამისთანას მოკლეს ბედნიერებისათვის რად უნდა ოავის შამწირულმა ერისთავს განსუტნება- ცა ამათს მყუდროებას ვანაცუალო? დილა, იმიტომ რომ ჩ-ნსავ სიციც-

ხლში სასჯელის ნაცულად სიყვარულს ალგვიტქმენ და გუამებენ; მაგრამ, თვინიერ ყოვლისა ჩინებულისა და იშვიათისა ქცევისა, რომელსაც ცხა- დად ერწუნებინა სიყვარული ერისა და სადღე-სასწაულოდ მირთმევა გუ- ლისა ეჩვენებინათ,—რ-ლი ხელმწიფე გაბედავს თავ-ს თავს მოცდუნებასა, რომ ის სიყვარული და გულის-მორ- თმევა უტყუალად ქეშმარიტი და უტ- ყუარია საზოგადოებისაგან? კარის- კაცნი ამტკიცებენ ფიცით და დად- გებიან თავდებით ეთისათვის,—და ვინ დაუდგება თავდებით კარის-კაცთა? სარდალი ცდილობს მტრის ჯარის ძალის უძლიერესად ჩუპნებისათვის მრავლის კ-ცის დაკარგვასა სადიდ- ბელად თავისა თვისისა; ვეზირი სწერს: „გაფრთხილდი, მტერო, ხელმწიფეს- შენის დაგლახავებით ჩემი გამდიდრე- ბა უნდა“. კარის-კაცნი ჰუტუტუნ: „თავმან ნეფობისა შენისაჲ, ჯერ ამისთანა სარდარი და ვეზირი ბუნებას არ უშობია“. ქურუმნი ქადაგებენ: „მომეცო, თორემ ღმერთნი განრისხდებიანო“. სარდარი ორგულობს, ვეზირი მხვერაობს და შინა-გამცემლობს, ქურუმნი ღმერთთ ისე შურის-მგებელად და კაპასად და- გვიხატვენ, როგორც თვითონ არიან! რა ქნას ამისთანა ვარგარების ხელშიდ ჩავარდნილმა მეფემ?! ახლა, კალხაზ მიქადაგებს: „ელენას სისხლიდამ ჩა- მოსრული სისხლი ღმერთთა სურსთ დასათხევად“, და ულისე მირჩევს: „დაემორჩილე ღმერთთ ბრძანებასაო!“ ამ ღმერთთ... ამ ღმერთთ... ამ ღმერთთ უნდა დავემორჩილო: თულები ასხიათ —და ამდენი ათასი, ჩემგან მირთმეუ- ლი მსხუპრპლი, ძვირფასი ძღუენი და დაკლული ზვარაკები ვერ დაუნახავო; ყურები ასხიათ—და ამდენი ჩემი ვედ- რება ვერ გაუგონიათ; პირი აქუსთ— და სიტყუა არა აქუსთ! როგორ იქ- მნება ის ღმერთი, რომელიც სიტყუის მშობელი არ არის და არსთაგან მა- მად არ ცნობილა? როგორი ღმერთია, თუ იმისგან არა გამოვა-რა? მშობე- ლობა და გამომდინარეობა ჩემგან გან- სხვავებულად არა აქუს? როგორ მო- ცა ჩემმა შემოქმედმა ისი, რაც თვითონ არა აქუს? ან როგორ შექმნა და ვარ-


დაართხა ამ სივრცე ლაქვარდისფერი კარავი ჩემის ხაზინიდამ გატანილმა და ჩემის მქედლისაგან განკუტრილმა მეტალმა? როგორ გუაცდუნებენ ჩუპნ ქურუმნი—ჩუენგან განდიდებულნი!.. როგორ უარპყოფს სენიდისი იმას, რ-ლისაც ყ-ლს წამს ხმა ესმის: „მე ვარ, რომელი ვარო?“—სად ხარ, რომელი ხარ, ნათელო, რომელი ხარ ბნელსა შ-ა და ბნელი შორს არს შენ- გან, მაშინ როდესაც შინაგანი ჩ-ი დაი- რლუა კუნესითა? სად არის შენი თირ- კმელთა განმცდელი თუალი მაშინ როდესაც ჩ-ი (თუალი) ადენს ორსა წყაროსა ცრემლისასა? სადა განხვალ და მიეფარები მაშინ, როდესაც გონე- ბისა თუალითა გეძიებ სივრცესა ზ-ა ცისა და ქუტყანისასა? არამც აქამდინ ჩ-მმა უცნობელობამ დაგაშორა ჩემგან ვრდრემე კიდემდე, სადაცა ოხვრასა ჩ-სა არა ძალუქს მიწოდომად? ვა-თუ შენი, განმწარებულისა ჩ-გან, რისხუა შესცულიდეს ნათელსა ბუნებასა ბინ- დის სახედ და დააყენებდეს სულსა ჩემსა წარმოდგომად წინაშე შენსა მო- წყალბად აღ-ძრველითა ვედრებითა? ნუ იქმ, მ უხილაო, შორის შენსა და შ-ს ჩემსა ესოდენსა სიშორესა! დაივი- წყე აქამდის ჩემგან შენი უცნობელო- ბა, შეიქურე ჩ-ის მაწუხებლების პი-

რის-პირ, შეახე შენი ტუყანის მპყრო- ბელი ხელი იმათ გულსა, რომელ- ნიც ჩემსას აწუხებენ; მე შევიქურევი შენის მტრების პირის-პირად და დაე- სდებ ჩემს თავსა, რომ გადავარქუა იმით ის სახელი, რომელიც შენ მარ- ტოსა გშუენის, დავარღვევ იმათ ტა- ძარსა და შენსა აღვაშენებ; მანამ უმ- ჯობესს შენ გამოიჩვენებ ტაძრად, მოგართმევ ჩემს გვამსა საკურთ- ხეველად, გონებასა და გულ- სა მორჩილებითა აღტყინებულსა— მსხუერპლად და ყ-დდასაწუელად; ამი- ერთიგან მე ვიქმნები შენი ტაძარი, საკურთხეველი, სხუერპლი და მღუ- დელი; შენ დაეც და მოაუძღურე წი- ნალმდგომთან ჩ-თა მდევრობა; მე დაე- სცემ მტერთა სახელისა შენისათა; ახლავ შეგმუსრავ იმათ თავებსა; წა- ვალ ღმერთთ პირის-პირ; მივალ, გან- ვეწყობი, ჰე!

(ჯარი გამოვა).  
ალამენონ. დაეწყვიტო!  
(ჯარი ეწყობა).  
(დასასრული იქნება)



ბინის პატრონი და დამქირავებელი.



ჩვენი ვეკილები თხუთმეტ აგვისტოს მოლოდინში.